შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფი

LTD GEORGIAN TECHNICAL GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი 200236707

საექსპერტო დასკვნა

2012 წლის 14 აგვისტოს შპს "საქართველოს ტექნიკურ ჯგუფს" მომართა მოქალაქე მზია ლობჟანიძემ (პირადი №01024036050) და მოითხოვა ქ. თბილისში, პეკინის გამ. №28-ში ეზოს მხრიდან ექვს სართულიანი საოფისე შენობის აშენების (წინასწარ დამუშავებული არქიტექტურული ნაწილის მიხედვით) შესაძლებლობის შესახებ საექსპერტო დასკვნის მომზადება.

პეკინის გამ. №28-ში მდებარეობს ექვსართულიანი შენობა, სარდაფით. შენობა აშენებულია მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში. შენობას ეზოს მხრიდან მიშენებული აქვს რამოდენიმე ერთსართულიანი მცირე ზომის შენობა. აღნიშნულ შენობას უკანა ეზოს მხარეს სარდაფის გაგრძელებაზე (ნიშნული -3.70) გააჩნია 128.20 კვადრატული მეტრი სათავსო. სათავსოს გადახურვის ზემოთ მოწყობილია სკვერი. სათავსოს შენობა წარმოადგენს დამოუკიდებელ შენობას, რომელსაც ექვსართულიან შენობასთან გააჩნია კონსტრუქციული (სადეფორმაციო) ნაკერი.

არქიტექტურული პროექტის მიხედვით ეზოში -3.70 ნიშნულზე განთავსებული სათავსოს ფართზე უნდა აშენდეს ექვს სართულიანი საოფისე შენობა. ასაშენებელი შენობა კარკასული ტიპისაა, რომელიც ერთი მხრიდან ესაზღვრება არსებულ ექვსართულიან შენობას, ორი საფასადე გვერდითა მხარეები მოწყობილია ფერადი მინის ვიტრაჟებით, ხოლო უკანა მხარე წარმოადგენს ყრუ კედელს პატარა სარკმელებით.

ადგილზე მოხდა არსებული შენობის და ეზოში განთავსებული სათავსოს ვიზუალური შესწავლა.

არსებული შენობა ექვსართულიანია და განთავსებულია პეკინის გამზირის გასწვრივ, აშენებულია კერამიკული აგურით, სართულშუა გადახურვები სავარაუდოდ შესრულებულია რკინაბეტონის ფილებით. შენობა ეფუძნება ლენტურ ბეტონის მცირედ არმირებულ საძირკველს. შენობას აღენიშნება დაზიანებები უკანა კედელზე, რაც გამოიხატება ღიობების კუთხეებში ბზარების სახით, აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს შენობის ხანგრძლივი ექსპლუატაციით.

ეზოში განთავსებული სათავსო მდებარეობს არსებული შენობის 0.00 ნიშნულის ქვემოთ, რომელიც გადახურულია რკინაბეტონის ფილით, ფილა ეყრდნობა კონტურის კედლებს და რკინაბეტონის კოჭს, რომელიც განთავსებულია

სათავსოს შუაში არსებული შენობის პარალელურად და თავის მხრივ იგი ეყრდნობა სათავსოს კონტურის კედლებს და სათავსოს შუაში განთავსებულ რკინაბეტონის სვეტს. სათავსოს კონტურის კედლები აშენებულია ე. წ. ცოკოლის ბლოკებით.

არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის და არქიტექტურული გადაწყვეტის შესწავლის შედეგად შეიძლება შემდეგი <u>დასკვნის გაკეთება:</u>

ასაშენებელი საოფისე შენობა უშუალოდ ესაზღვრება არსებულ შენობას და მისი განთავსება ხდება ეზოში არსებული სათავსოს ადგილზე. ექვსართულიანი საოფისე შენობის მშენებლობა შესაძლებელია წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით, სამშენებლო ნორმების შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე. კონსტრუქციულ პროექტში სასურველია გათვალისწინებული იქნას შემდეგი:

- მოხდეს ეზოში არსებული სათავსოს დემონტაჟი;
- ასაშენებელი შენობისათვის მოეწყოს ახალი საძირკველი, ისე რომ გათვალისწინებული იქნას სამშენებლო ნორმების მოთხოვნა არსებული შენობის საძირკვლის ჩაღრმავებასთან მიმართებაში;
- არსებულ შენობასა და ასაშენებელ შენობას შორის მოეწყოს დეფორმაციული-სეისმური ნაკერი სამშენებლო ნორმების მოთხოვნის შესაბამისად.

შ.პ.ს "საქართველოს ტექნიკურ ჯგუფი"-ს
დირექტორი, ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი /გ.ნოზაძე/